საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-235

14/03/2019

ქ. თბილისი

ქარელის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ აგარა-ყორნისი-ცხინვალის საავტომობილო გზის კმ 1 (0+650)-ზე მდ. სურამელაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 13-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქარელის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „აგარა-ყორნისი-ცხინვალის საავტომობილო გზის კმ 1 (0+650)-ზე მდ. სურამულაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნა N26 19.02.2019 წ;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N26 19.02.2019 წ. შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქარელის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი